განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

**ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**
**სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი

19 თებერვალი 2020

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი<br>საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 218076542 |
| დაწესებულების სახე | სასწავლო უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ინფორმაციული ტექნოლოგიები |
| განათლების საფეხური | საბაკალავრო |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ინფორმატიკის ბაკალავრი<br>0401 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი დათუკიშვილი,<br>კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მიხეილ რუხაია<br>შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გურამ პოპიაშვილი<br>შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2007 წლიდან. უკანასკნელად საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია განხორციელდა 2014 წელს. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 240 ECTS კრედიტი. კრედიტიდან 175 კრედიტს შეადგენს ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები, ხოლო 65 კრედიტის მოცულობით სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სასწავლო კურსები სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან ან აირჩიოს დამატებითი (Minor) სპეციალობა (60 კრედიტის მოცულობით) და 5 კრედიტი - სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ექსპერტთა ვიზიტი აკრედიტაციის მაძიებელ დაწესებულებაში განხორციელდა 2019 წლის 18 დეკემბერს. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ პროფესორი მიხეილ რუხაია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან და სტუდენტი გურამ პოპიაშვილი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი. ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა გიორგი დათუკიშვილი კავკასიის უნივერსიტეტიდან.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მუშაობა მიმდინარეობდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით 10:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე და მოიცავდა შეხვედრებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან. მოეწყო გასაუბრება საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დღის ბოლოს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს წარუდგინეს ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი მიგნებები.

დაწესებულების წარმომადგენლები მომზადებულები შეხვდნენ ვიზიტს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს სამუშაო პირობები შეუქმნეს და უზრუნველყვეს საჭირო დოკუმენტების მიწოდება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საბაკალავრო პროგრამა შესაბამისობაშია 4 სტანდარტის მოთხოვნებთან და მეტწილად შესაბამისობაშია ერთ სტანდარტთან

- **რეკომენდაციები**

**რეკომენდაცია სტანდარტი 2-ის 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

პროგრამას დაემატოს სავალდებულოდ ასარჩევი საბაკლავრო ნაშრომი ან სტაჟირება კომპანიაში.

გადალაგდეს კურიკულუმი და საგნების წინაპირობები ისე, რომ პროგრამის შინაარსი განვითარდეს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ, მარტივიდან უფრო რთულ საკითხებამდე.

**რეკომენდაცია სტანდარტი 2-ის 2.3 სასწავლო კურსი**

გადაიხედოს ცალკეული სილაბუსები, გახდეს დარგზე ორიენტირებული და მოვიდეს შესაბამისობაში სწავლის შედეგებთან.

**რეკომენდაცია სტანდარტი 2-ის 2.4 სასწავლო კურსი**

გაძლიერდეს პროგრამის პრაქტიკული მხარე

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

უკანასკნელი აკრედიტაციის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები მათ შორის აღსანიშნავია:
2014-2018 წლებში განხორციელებული ცვლილებები:
• სასწავლო გეგმას დაემატა სპეციალობის არჩევითი კურსი, „.NET პლატფორმის თანამედროვე ტექნოლოგიები“ და „დაპროგრამების ენა PHP“, აგრეთვე სასწავლო კურსში “Web ორიენტირებული დაპროგრამება” გათვალისწინებულია ჰიპერ-ტექსტური მონიშვნის ენის მეხუთე სტანდარტი (HTML5).

2019 წელს განხორციელებული ცვლილებები:
• შრომის ბაზრის მოთხოვნათა ანალიზისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მოსაზრებათა გათვალისწინებით სასწავლო კურსი „ASP.NET ტექნოლოგიის საფუძვლები“ არჩევითი სასწავლო კურსებიდან გადატანილია სავალდებულო სასწავლო კურსების ნუსხაში, ხოლო არჩევითი კურსი „.NET პლატფორმის თანამედროვე ტექნოლოგიები“ ჩანაცვლდა სასწავლო კურსით „დაპროგრამების ენა Python“.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადი მიზნები, რომელიც ასახავს, თუ რა ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა. თუმცა კურიკურლუმის დეტალური მოკვლევისას გამოიკვეთა, რომ რამოდენიმე შედეგის მიღწევა არსებული სილაბუსებით მეტად რთულია. ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს ინფორმატიკის ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი სპეციალისტი, ფუნდამენტური მათემატიკური ცოდნის საფუძველზე შეასწავლოს სტუდენტს ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძვლები - საინფორმაციო სისტემების ფუნქციონირების, მონაცემთა დამუშავების, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიის, საკომუნიკაციო ქსელების და ვებ-ტექნოლოგიების ძირითადი კონცეფციები და პრინციპები, ხელი შეუწყოს ინფორმაციული ტექნოლოგიების კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას და მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარის განვითარებას. პროგრამის მიზანია, აგრეთვე, განუვითაროს სტუდენტს ინფორმატიკის ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისი ზოგადი უნარ-ჩვევები და სამოქალაქო ღირებულებები, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე, აგრეთვე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაში.<br>მიზნის მიუხედავად არსებული კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი არ არის დასაქმებული პროფილის მიხედვით, რაც შესაძლოა რეგიონში არსებული დარგის მიმართ |

| |
|---|
| მოთხოვნის არ არსებობას უსვამს ხაზს, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლებთან შეხვედრისას გამოიკვეთა მოთხოვნა სპეციალისტებზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი;<br>2. უნივერსიტეტის მისია;<br>3. ვებგვერდი;<br>4. ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც პროგრამის სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამა აქვს 15 სწავლის შედეგი

- ახსნას ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების არსი, დაპროგრამების ენების თავისებურებანი და პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიის ძირითადი კონცეფციები;
- აღწეროს მონაცემთა ბაზის ორგანიზების და მართვის საკვანძო საკითხები;
- იმსჯელოს Web-ორიენტირებული დაპროგრამების ტექნოლოგიების ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების თაობაზე;
- აღწეროს კომპიუტერის და საკომუნიკაციო ქსელების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები და  კონცეფციები;
- აღწეროს კომპიუტერის და საინფორმაციო სისტემების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები, ინფორმაციის უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტისათვის შესაბამისი მეთოდის განსაზღვრა და გამოყენება;
- ძირითადი მონაცემთა სტრუქტურების და ალგორითმების, აგრეთვე მათემატიკური თეორიებისა და მეთოდების გამოყენება საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპლექსური ამოცანების გადასაწყვეტად;
- კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება სათანადო მეთოდების და ინსტრუმენტების გამოყენებით წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- ინფორმაციული ტექნოლოგიებისათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების პრობლემური საკითხების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით;
- პრობლემის გადაწყვეტის მიზნით შერჩეული მიდგომის თაობაზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება.

- ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე კომპიუტერული პროგრამებისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებით.
- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების საფუძველზე საკუთარი სწავლის საჭიროებების დამოუკიდებლად დადგენა და ახალი ცოდნისა და უნარების შეძენა.
- პროფესიული და სამოქალაქო ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად შეძენილი ცოდნის გამოყენება;

პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერით უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის შედეგებისადმი გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. მცირედი ცვლილებების შემდეგ პროგრამა გაცილებით ეფექტურად შეძლებს მის მიზნებზე და სწავლის შედეგებზე გასვლას, რაც განხილულია მეორე სტანდარტში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

| |
|---|
| ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან პირი, რომელიც აკმაყოფილებს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ან მობილობით ჩარიცხვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებს. ამასთანავე, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში მას ჩაბარებული უნდა ჰქონდეს გამოცდა მათემატიკაში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მათემატიკის გამოცდის ჩაბარების მოთხოვნა განპირობებულია პროგრამის სპეციფიკით და ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის |

შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. აღნიშნული წინაპირობები უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას.

ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია დაწესებულების მიერ დადგენილ ვადებში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება როგორც საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ისე უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებს. არის სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი. სათანადო ინფორმაცია განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში, ფაკულტეტზე, ბიბლიოთეკაში.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და პროგრამის ხელმძრვანელთან შეხვედრების დროს აღინიშნა, რომ პერიოდულად, დაინტერესებული პირებისათვის პროგრამის ხელმძღვანელი ატარებს სათანადო შეხვედრებსა და პრეზენტაციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
2. თვითშეფასების ანგარიში
3. ინტერვიუები ადმინისტრაციასა და პროგრამის ხელმძღვანელთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
|---|
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), ხოლო მოცულობა 240 ECTS კრედიტი (უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად 1ECTS = 25 საათი). ერთი სემესტრის ხანგრძლივობა არის 19 სასწავლო კვირა. სტუდენტის დატვირთვა არის სელესტრში 30 კრედიტი.

პროგრამის 240 ECTS კრედიტიდან:

- 155 კრედიტი არის სავალდებულო, აქედან 15 კრედიტი („ფილოსოფიის შესავალი“, „წერითი და ზეპირი კომუნიკაციები“, „მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია“/“ტოლერანტობა და მრავალფეროვნება“) ზოგადი კომპეტენციის საგნებია, 20 კრედიტი უცხო ენა (პროგრამის მიზანია სტუდენტი გაიყვანოს B2 დონეზე. იმ სტუდენტებისათვის, ვინც ვერ ფლობს ინგლისურს A2 დონეზე, შემოთავაზებულია დამატებითი კურსები), ხოლო 120 კრედიტი სპეციალობის საგნები.

- 20 კრედიტი არის სპეციალობის არჩევითი კურსები (სულ შემოთავაზებულია 7 არჩევითი კურსი ჯამში 35 კრედიტის ოდენობით).
- 65 კრედიტი არის საუნივერსიტეტო არჩევითი კურსები ან დამატებითი (Minor) სპეციალობა (60 კრედიტის მოცულობით).

აღნიშნული კურიკულუმის მთავარი პრობლემაა საბაკალავრო ნაშრომის ან/და კომპანიაში სტაჟირების არარსებობა. პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუსას ცალსახად აღინიშნა, რომ მათ აქვთ პრაქტიკული გამოცდილების ნაკლებობა და სასურველი იქნებოდა სტაჟირება გაევლოთ რეალურ სამუშაო გარემოში. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ კურსდამთავრებულთაგან მხოლოდ ორი სტუდენტია დასაქმებული პროფესიით.

სასწავლო კურსების წინაპირობებთან დაკავშირებით არის პატარ-პატარა უზუსტობები, მაგალითად გაუგებარია დაპროგრამება III (Visual C#) წინაპირობაში კომპიუტერული უნარ-ჩვევების მოთხოვნა, მაშინ როდესაც დაპროგრამება I და II არ არის მოთხოვნილი. ანალოგიური ეხება კომპიუტერის არქიტექტურასაც. კომპიუტერულ გრაფიკას და საინფორმაციო სისტემებს არ გააჩნიათ წინაპირობები. მაშინ გაუგებარი ხდება რატომ ისწავლება ეს საგნები 5 და 6 სემესტრში (ან ზედმეტად გვიან ისწავლება, ან წინაპირობები აკლია). ასევე გაუგებარია მონაცემთა ბაზები I-ის წინაპირობად დაპროგრამება III (Visual C#) არსებობა და Web ორიენტირებული დაპროგრამების წინაპირობად (სადაც მხოლოდ HTML, CSS და ძალიან საბაზისო JavaScript ისწავლება) დაპროგრამება IV (Visual C#).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;**
2. **საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;**
3. **საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა;**

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**პროგრამას დაემატოს სავალდებულოდ ასარჩევი საბაკლავრო ნაშრომი ან სტაჟირება კომპანიაში.**

| |
|---|
| **გადალაგდეს კურიკულუმი და საგნების წინაპირობები ისე, რომ პროგრამის შინაარსი განვითარდეს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ, მარტივიდან უფრო რთულ საკითხებამდე.** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.3. სასწავლო კურსი** |
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სასწავლო კურსები სტანდარტულად 5 კრედიტიანია, რაც ითვალისწინებს 46 საკონტაქტო და 79 დამოუკიდებელ მუშაობას. სილაბუსებში ასახული სწავლის შედეგები მეტწილად მიღწევადია, თუმცა საბაკალავრო ნაშრომის არ არსებობის ფონზე საეჭვო ხდება საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგი 8 (კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება სათანადო მეთოდების და ინსტრუმენტების გამოყენებით |

| |
|---|
| წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად) და სწავლის შედეგი 12 (ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება) მიღწევადობა. პროგრამის ხელმძღვანელის არგუმენტი ამ შედეგების მიღწევადობასთან დაკავშირებით იყო ის, რომ საკვანძო სასწავლო კურსები ითვალისწინებს საკურსო პროექტების მომზადებას, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკურსო პროექტებს მთლიან შეფასებაში უჭირავთ ნიშნის 10-15%, შესაბამისად სტუდენტს შეუძლია ეს კურსები ჩააბაროს საკურსო პროექტის მომზადების გარეშეც, რაც მთლიანად აბათილებს პროექტის ხელმძღვანელის არგუმენტებს.<br>აგრეთვე არსებობს მცირედი პრობლემები კონკრეტულ სილაბუსებში. მაგალითად, საგანი წერითი და ზეპირი კომუნიკაციები არის ძალიან ზოგადი, სასურველია მისი გაუმჯობესება დარგზე ორიენტირებული საკითხებით. არსებობს ცალკეული თემატური თანაკვეთები სხვადასხვა სასწავლო კურსებს შორის. მაგალითად, ყველაზე მძაფრად ეს ეხება დისკრეტული მათემატიკა I და კალკულუსს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>1. ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br><br>2. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;<br><br>3. საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა; |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br>გადაიხედოს ცალკეული სილაბუსები, გახდეს დარგზე ორიენტირებული და მოვიდეს შესაბამისობაში სწავლის შედეგებთან. მაგალითად, საგანი წერითი და ზეპირი კომუნიკაციები არის ძალიან ზოგადი, სასურველია მისი გაუმჯობესება დარგზე ორიენტირებული საკითხებით. აგრეთვე საგრძნობი თემატური თანაკვეთაა დისკრეტული მათემატიკა I და კალკულუს საგნებს შორის. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის ყველა დარგობრივი საკვანძო კურსით გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ ამ კურსის ფარგლებში საკურსო ნაშრომის/პროექტის შესრულება და დაცვა, რომელიც გულისხმობს პრობლემური საკითხის გადაწყვეტას ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრაზე ერთხმად აღინიშნა, რომ სასურველი იქნებოდა პროგრამის პრაქტიკული მხარის გაუმჯობესება. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და ხარისხის სამსახურთან შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სტუდენტებს აქვთ ადმინისტრაციის მხარდაჭერა ჩაერთონ სხვადასხვა პროექტებში, მონაწილეობა მიიღონ სტუდენტურ კონფერენციებში. სტუდენტთა ტრანსფერული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული აგრეთვე კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივები, რომლებიც ვლინდება სტუდენტთა მონაწილეობით

| |
|---|
| განხორციელებული სხვადასხვა ლიტერატურული, კულტურული, ინტელექტუალური, სპორტული და საქველმოქმედო ღონისძიებების მხარდაჭერაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>1. საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა;<br>2. პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>3. ინფორმაცია სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში პროგრამის სტუდენტთა მონაწილეობის თაობაზე.<br>4. ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ადმინისტრაციასა და ხარისხის სამსახურთან. |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br>გაძლიერდეს პროგრამის პრაქტიკული მხარე |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში, მისი თავისებურებიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების/სწავლის ის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც განაპირობებენ ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, ხოლო მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლების/სწავლის მეთოდები/აქტივობები ასახულია სილაბუსებში მხოლოდ სტანდარტული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის მეთოდების სახით. თუმცა პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლება-სწავლის სტუდენტზე ორიენტირებული მრავალფეროვანი მეთოდები, როგორიცაა სალექციო, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ლაბორატორიული მუშაობა, ასევე აქტივობები - დემონსტრირება, წიგნზე (სახელმძღვანელოზე) მუშაობა, დისკუსია, სავარჯიშო, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, აგრეთვე, სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სწავლის შედეგების მისაღწევად შესაძლებელია სწავლების/სწავლის სხვა მეთოდების/აქტივობების გამოყენებაც. საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამაც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;**

2. **პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;**

**3. ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.**

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიმუში ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
| --- |
| საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, რაც ასახულია სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. შეფასების პროცედურები არის სამართლიანი, გამჭვირვალე და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ასახულია პროგრამის აღწერით ნაწილში, ხოლო შეფასების კონკრეტული კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსით.<br><br>საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრედიტის ათვისება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება შეფასების სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. სტუდენტებისათვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები. შეფასების პროცესით უზრუნველყოფილია სტუდენტის ინფორმირება შეფასების შედეგების, საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების თაობაზე. შეფასების წესით გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>1. **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;**<br>2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;**<br>3. **პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;**<br>4. **სასწავლო პროცესის მართვის სისტემა;**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
